ბალი გამარჯვებისადმი სწრაფვისთვის

დონის როსტოვი. 15 ივნისი. ასკ–ს სტადიონი.

ასკ (დონის როსტოვი) – “დინამო” (თბილისი) 1:2 (1:2).

ასკ: უბიკინი (პესტრიკოვი), გონჩაროვი, შერგელაშვილი (მირიკოვი), საუხი, ალექსანდროვი, ანტონოვი, პლეშაკოვი, ჩურკინი, კრავჩენკო, ნაზარენკო. იაკუბოვი.

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ებრალიძე, ხიზანიშვილი, გავაშელი (მჭედლიშვილი), ქორიძე, კოპალეიშვილი, მ. მაჩაიძე, ყიფიანი, წერეთელი.

მსაჯი: ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

დუბლიორები – 2:1.

20 შესაძლებლიდან დაგროვილი 4 ქულით როსტოველი ფეხბურთელები ერთობ უიმედო მდგომარეობაში იყვნენ. მათი ხსნა ახლა შეუძლია მხოლოდ თავგანწირულ თამაშს, გამარჯვებათა გრძელ სერიას, ვინაიდან განსხვავება წინ მყოფ გუნდებთან საკმაოდ დიდია.

ალბათ ამ სერიის დასაწყისად მიაჩნდათ მასპინძლებს თბილისელებთან მატჩი, ვინაიდან თავიდანვე თამაშობდნენ დიდი ენერგიით, მონდომებით, მაქსიმალური ძალით, და როცა ნაზარენკომ მე–19 წუთზე ანგარიში გახსნა, თითქოს გამოჩნდა გზა მიზნისკენ.

მაგრამ დინამოელებმა ამ მარცხს ორგანიზებული, გაძლიერებული იერიშებით უპასუხეს. სრული ძალით ამოქმედდნენ თავდამსხმელები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ყიფიანი. ხანგრძლივი შეტევის შემდეგ, 30–ე წუთზე, ქორიძემ საპასუხო გოლი გაიტანა მასპინძელთა კარში, კიდევ 7 წუთის შემდეგ კი ებრალიძემ მეორედ აიძულა უბიკინი ბადიდან გამოეტანა ბურთი.

შესვენების შემდეგ არმიელები ერთხანს ძალიან აქტიურობდნენ, მეკარე გოგიას ზედიზედ მოუხდა ძნელი ბურთების აღება, შემდეგ კი, როცა ცხადი გახდა, რომ “დინამოს” დაცვა ყურადღებით და ზუსტად თამაშობდა, ხოლო საპასუხო კონტრშეტევებისას სახიფათო მომენტებს ქმნიდნენ ყიფიანი, წერეთელი, ქორიძე და სხვანი, მასპინძლებმა საგრძნობლად უკლეს ტემპს და მათი დამარცხებაც რეალობად იქცა.

თბილისის “დინამომ” ამ გამარჯვებით მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა და, ამას გარდა, ბალი მიიღო გამარჯვებისადმი სწრაფვისთვის დაწესებული პრიზისთვის ბრძოლაში.

“ლელო”, 17 ივნისი, 1975 წ.